კვების ჯაჭვი

საშუალო დონე

საკითხავი წიგნები ენისა და საგნის (ბუნებისმცოდნეობის) ინტეგრირებულ სწავლებაში მხარდასაჭერად მომზადდა „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის“ პროექტის "საზოგადოების ინტეგრაცია მულტილინგვური განათლების გზით“ ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის ოფისის მიერ.

ავტორები:

ნათია გორგაძე

რედაქტორი

კახა გაბუნია

დიზაინერი

ილია ჭრელაშვილი

© „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი“ (CCIIR)

თბილისი

2020 წელი

კვების ჯაჭვი - ეკოსისტემის კომპონენტი

შინაარსი

რთ იკვებებიან ცხოველები? 3

ბალახისმჭამელი, ხორცისმჭამელი, ნაირმჭამელი

ცხოველები 5

კვებითი ურთიერთობები 8

დასკვნა 12

რით იკვებებიან ცხოველები

გახსოვთ, რომ არსებობენ ისეთი ცხოველები და ფრინველები, რომლებიც მხოლოდ მცენარეებით იკვებებიან?

გახსოვთ, რომ არსებობენ ისეთი ცხოველები და ფრინველები, რომლებიც მხოლოდ ხორცით იკვებებიან?

გახსოვთ, რომ ადამიანი ისეთი ცოცხალი არსებაა, რომელიც მცენარით და ცხოველით იკვებება?

ბალახისმჭამელი, ხორცისმჭამელი, ნაირმჭამელი ცხოველები

ცხოველები და ფრინველები, რომლებიც მხოლოდ მცენარით იკვებებიან - ბალახისმჭამელები არიან.

გახსოვთ, რომელი ცხოველები და ფრინველები არიან ბალახისმჭამელები?



ცხოველები და ფრინველები, რომლებიც მხოლოდ ხორცით იკვებებიან - ხორცისმჭამელები არიან. გახსოვთ, რომელი ცხოველები და ფრინველები არიან ხორცისმჭამელები?

ცხოველები და ფრინველები, რომლებიც მცენარეებითაც და ხორცით იკვებებიან - ნაირმჭამელები არიან. გახსოვთ, რომელი ცხოველები და ფრინველები არიან ნაირმჭამელები? გახსოვთ, რომ ადამიანიც ნაირმჭამელია?

კვებითი ურთიერთობები

მცენარეები, ცხოველები, ფრინველები და ადამიანები ქმნიან **კვების ჯაჭვს**. კვების ჯაჭვი ორგანიზმებს შორის კავშირს, ანუ კვებით ურთიერთობას წარმოადგენს.



წარმოიდგინე, რომ ხეს და ბუჩქს გაზაფხულზე არ ამოსდის მწვანე ფოთლები. ბალახი არ იზრდება.

რას შეჭამენ ბალახისმჭამელი ცხოველები და ფრინველები?

წარმოიდგინე, რომ აღარ არსებობენ ის ცხოველები და ფრინველები, რომლებიც მცენარეებს ჭამენ. წარმოიდგინე, რომ აღარ არსებობენ ბალახისმჭამელები. რას შეჭამენ ხორცისმჭამელი ცხოველები? რას შეჭამს მგელი, თუ აღარ არსებობს კურდღელი, ციყვი... რას

შეჭამს ადამიანი, თუ არ არსებობს არც მცენარეები და არც ძროხა, ქათამი?

თუ გაზაფხულზე მცენარეებს არ ამოსდით ფოთლები, თუ შემოდგომაზე არ დამწიფდება ხილი და ბოსტნეული, ანუ, თუ არ იქნება არც ბოსტნეული და ხილი, არც ბალახისმჭამელი ცხოველები, რა იქნება ადამიანის საკვები?

თუ არ იარსებებს წყალმცენარეები, არ იარსებებენ ის თევზები, რომლებიც ზღვაში და ოკეანეში არსებულ მცენარეებს იყენებენ საკვებად.

თუ არ იქნებიან წყალმცენარეების მჭამელი თევზები, საკვები აღარ ეყოფათ თევზისმჭამელ, ანუ ხორცისმჭამელ სხვა თევზებს და ისინი ერთმანეთს შეჭამენ...

ძლიერი თევზები შეჭამენ უფრო სუსტებს, ბოლოს მათ საკვები აღარ ეყოფათ და არსებობას შეწყვეტენ.

დასკვნა

წარმოიდგინე, რა მნიშვნელოვანია კვების ჯაჭვი? კვების ჯაჭვი ბუნების სისტემის, ანუ ეკოსისტემის მნიშვნელოვანი ნაწილია.